საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლის 10 მაისიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო
«ЛЕЧХУМИ» — Орган Цагерского райкома Компартии Грузии и Цагерского районного народных депутатов

№51 (6277) ხუთშაბათი 26 აპრილი ფასი 3 კაპ.

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული ორგანიზაციის 39-ე კონფერენციის დელეგატთა საყურადღებოდ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული ორგანიზაციის 39-ე კონფერენცია გაიხსნება 1990 წლის 27 აპრილს, პარასკევს დღის 12 საათზე პარტიის რაიკომის სხდომათა დარბაზში.

კონფერენციის დელეგატების რეგისტრაცია იწარმოებს პარტიის რაიკომში დილის 10 საათიდან.

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომი.

რიგგარეშე, XXXIX

გარდაქმნის თანამედროვე ეტაპი, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს ძირეულ ცვლილებათა პროცესი სკკპ წინაშე აყენებს პარტიის, მისი საქმიანობის სტილისა და მეთოდების მკვეთრი განახლების არნახული სირთულისა და მასშტაბის ამოცანებს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ პირობებში, როცა პარტია უარს ამბობს სკკპ ხელმძღვანელი მდგომარეობის კონსტიტუციურ დამკვიდრებაზე. ამასთან დაკავშირებით ახლებურად დგება პარტიის ავანგარდული, მაკონსოლიდირებელი როლის განმტკიცების, მასებზე მისი იდეურ-პოლიტიკური გავლენის გაძლიერების ამოცანა. ასეთ კონსტრუქციულ მუშაობაში თავისი სიტყვა უნდა თქვან რაიონულმა პარტიულმა კონფერენციებმა.

დემოკრატია და საჯაროობა მტკიცედ და შეუპოვრად იკიდებს ფეხს ჩვენს ცხოვრებაში. ამის დასტურია ის, რომ გამოქვეყნდა საყოველთაო სახალხო განხილვისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმის პროექტი, ყველგან გაჩაღებულია მზადება სკკპ და საქართველოს კომპარტიის 28-ე ყრილობებისათვის, მიმდინარეობს პირუთვნელი მსჯელობა, კრიტიკა პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის, ლიდერების წარსულის თუ მიმდინარე საქმიანობის შესახებ. კომუნისტები თუ უპარტიოები აყენებენ პარტიის გარდაქმნის, მათ შორის, რადიკალურ წინადადებებსაც კი.

ხვალ გაიმართება ცაგერის რაიონის კომუნისტთა რიგგარეშე 39-ე კონფერენცია, რომელიც დიდი პოლიტიკური მოვლენაა რაიონის პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებაში, სადაც იქნება ფართო მსჯელობა შექმნილ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ვითარებაზე, დელეგატები გამოთქვამენ კომუნისტთა აზრს პარტიის, ქვეყნის მომავალზე.

არავისათვის დაფარული არ არის, რომ უკანასკნელი ათწლეულები და განსაკუთრებით წინა კონფერენციის შემდგომი პერიოდი ერთ-ერთი რთული და დაძაბული, წინააღმდეგობებით აღსავსე იყო როგორც საბჭოთა ქვეყნის და კომუნისტური პარტიის, ისე რესპუბლიკისა და რაიონის ისტორიაში. ფართო ხასიათი მიიღო მოძრაობამ რესპუბლიკის სრული ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის მისაღწევად.

დღეს აშკარად იკვეთება აზრი იმის შესახებ, რომ საზოგადოების პოლიტიკური ავანგარდის მისიას პარტია შეასრულებს მხოლოდ მაშინ, თუ თავად რადიკალურად გარდაიქმნება, დაეუფლება თანამედროვე პირობებში პოლიტიკური ხელმძღვანელობის ხელოვნებას. განიწმინდება ყოველივე იმისგან, რაც მას აკავშირებდა ავტორიტარულ-ბიუროკრატიულ სისტემასთან, რომელმაც დაღი დაასვა პარტიის მუშაობის მეთოდებს, იდეოლოგიას, აზროვნების წესს, თვით ჩვენს შეხედულებებს სოციალიზმზე.

პარტიის განახლება ნიშნავს უპირველესად არსებით ცვლილებებს მის ურთიერთობაში სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოებთან, ხელის აღებას მათდამი მბრძანებლობისა და ფუნქციების მაგივრობის გაწევის პრაქტიკაზე. თავისი ავანგარდული როლი საზოგადოებაში პარტიამ უნდა შეასრულოს საქმით, როგორც დემოკრატიულმა და არა კონსტიტუციურად დაკანონებულმა და ხალხისათვის ზემოდან თავს მოხვეულმა ძალამ.

დღეს მნიშვნელოვნად შეიცვალა პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლი და ავტორიტეტი სოფლად თუ ქალაქად. კოლმეურნეობებში თუ სამრეწველო საწარმოებში შემთხვევიდან შემთხვევამდე თუ ტარდება პარტიული კრებები. პარტიული მასების როლის გაძლიერება გულისხმობს პარტიის საფუძვლის—პირველადი ორგანიზაციების უფლებათა გაფართოებას, მათი დამოუკიდებლობის ზრდას. წამოყენებულია წინადადება მათ მიენიჭოთ პარტიაში მიღების საბოლოო უფლება, უარი თქვან საკანდიდატო სტაჟზე.

აუცილებელია დაჩქარდეს პარტიული ორგანიზაციების თვისობრივი განახლება, ეროვნული მოძრაობის მიერ წამოჭრილი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, დემოგრაფიული და სხვა ხასიათის პრობლემების გადაწყვეტა.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის სამდივნოს მიმართვა რესპუბლიკის ყველა ჟურნალისტს

თანამოკალმენო! საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის სამდივნო მოგიწოდებთ ხმა აღიმაღლოთ ჩვენი საერთო ინტერესების დასაცავად, საქართველო არაერთხელ მდგარა ფიზიკური და ზნეობრივი გადაშენების ზღვარზე, მაგრამ ყოველთვის იხსნიდა ხოლმე ერთობის, მთლიანობის ურყევი რწმენა, გონებისა და სიკეთის გამარჯვების რწმენა. ამ რწმენამ გადაგვატანინა 1989 წლის შავი აპრილიც, შეაკავშირა საქართველოსათვის ლახვარცემული ასობით გული.

ხალხის მისწრაფებამ დემოკრატიისადმი, სრული პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობისადმი, რეალური სუვერენიტეტისადმი შავბნელი ძალები აიძულა პროვოკაციულად გამოეწვიათ საყოველთაოდ ცნობილი სისხლიანი კონფლიქტები, რომლებმაც უმანკო ადამიანები შეიწირა. ამ ძალებს სურთ კვლავ უზნეობის სასწორზე შეაგდონ კაცთა სიცოცხლე.

ეგრეთწოდებული ინტერფრონტი, რომელიც რესპუბლიკაში იქმნება, ავრცელებს ცილისმწამებლურ პროკლამაციებს, რომლებშიც უსახელო ავტორები შეურაცხყოფას აყენებენ მთელ ქართველ ერს— მოღალატეების ერს უწოდებენ. ამ მახინჯი ორგანიზაციის შემქმნელები, რომლებიც უდიერად აყალბებენ სინამდვილეს, ყოველნაირად ცდილობენ არა საზოგადოების შეკავშირებას დემოკრატიული, სამართლებრივი, თავისუფალი სახელმწიფოს შექმნის გზით, არამედ იმას, რომ არაქართველი მოსახლეობა დარაზმონ საკუთარი უფლებების დასაცავად, რომლებსაც, ვითომდა, ფეხქვეშ თელავენ შოვინისტები. ამ აღმაშფოთებელმა ცილისწამებამ განარისხა რესპუბლიკის ყველა მოქალაქე. ჟურნალისტთა კავშირში, გაზეთების რედაქციებში თუ ტელევიზიაში დაიძრა სხვადასხვა ეროვნების ინტერესების წარმომადგენელი კერძო პირების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების წერილების ნაკადი. ხალხი მოითხოვს დაისჯონ ყველა ჯურის პროვოკატორები, და მრავალეროვან რესპუბლიკაში დასაშვებად მიაჩნიათ მხოლოდ და მხოლოდ თანამშრომლობისა და იმათ წინააღმდეგ ერთად ბრძოლის ფრონტი, ვინც იმპერიულ ამბიციებს და ადმინისტრაციულ-ფელდფებელური დიქტატის წყურვილს შეუპყრია.

საქართველოს ეგრეთ წოდებული ინტერფრონტის ინიციატორებს, სულის ჩამდგმელებსა და შემქმნელებს გვინდა შევახსენოთ უმარტივესი სამართლებრივი კონცეფციები, ის, რომ ნებისმიერი მოქმედება, რომელიც ეროვნულ შუღლს იწვევს, ისჯება „მოქალაქეთა ეროვნული თანასწორუფლებიანობის ხელყოფისა და სსრ კავშირის ტერიტორიის მთლიანობის ძალადობრივი დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ 1989 წლის 2 აპრილის კანონის მე-3 პარაგრაფით და საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 75-ე მუხლით.

როგორც შევიტყვეთ, ამ ცილისმწამებლური პროკლამაციის გავრცელების ფაქტის გამო საქართველოს სსრ პროკურატურას სისხლის სამართლის საქმე აღუძრავს. ჟურნალისტთა ღირსების საქმეა ხელი შეუწყონ არა მარტო რესპუბლიკურ, არამედ მის ფარგლებს გარეთაც არსებულ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში დაწყებული ძიების ყველა ეტაპის ობიექტურ გაშუქებას.

სიტყვა არა მარტო გულისმომკვლელია, არამედ მკურნალიცაა.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის სამდივნო მოგიწოდებთ მართალი სიტყვით, კონკრეტული საქმით ემსახუროთ რესპუბლიკაში მცხოვრებ ხალხთა ერთობას.

ხვნის ტემპი მატულობს

ღვირიშის კოლმეურნეობაში წელს 100 ჰექტარზე უნდა მიაბარონ თესლი ხნულს. ხვნას დროულად შეუდგნენ მექანიზატორები როლანდ ჩხეტიანი, ავთანდილ ხეცურიანი, უშანგი ნემსწვერიძე. მექანიზატორები ეშურებიან ამინდებს და ცდილობენ, რაც შეიძლება აგროვადების დაცვით ჩაატარონ ეს მნიშვნელოვანი საგაზაფხულო კამპანია.

როცა ამინდი ხელს არ აძლევთ სახნავად, მაშინ დახნულს ფარცხავენ და სამარცვლე მინდვრები კი მუშა-გამწევი ძალით იხვნება. ნაკურალეშის აგროუბანში კი, სადაც მხოლოდ 10 ჰექტარია დასახნავი, ამ დღეებში ოთარ გოლეთიანი შეუდგება ხვნას, ახლა კი იგი საგზაო სამუშაოებითაა დაკავებული.

აქაურ მხვნელ-მთესველთა გადაწყვეტილებაა საქმეს 10 მაისამდე მორჩნენ.

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომი იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის ყოფილი პირველი მდივანი **რაშდენ გაბრიელის ძე მურცხვალაძე.**

სკკპ 28-ე დ ა საქართველოს კომპარტიის 28-ე ყრილობების შესახებ

ჰეგემონია — საქმით

ᲓᲦᲔᲡ ბევრს ვლაპარაკობთ პარტიის ავტორიტეტის დაცემაზე, მის მიზეზებზე. არის ათასი ვერსია—ეინკ ს აღარ დეხს ბრალს. მაგრამ ფაქტი ერთია, როცა ქვეყანა ეკონომიკურ, პოლიტიკურ კრიზისშია, როცა საპონი და შაქარი სანატრელი გაგვხდომია, ძნელია ილაპარაკო პარტიისა და მთავრობის ხალხისადმი „განუხრელ“ ზრუნვაზე. მიზეზები უამრავია: ადამიანები, თვით ხელმძღვანელი მუშაკები, პარტიის ლიდერები მოწყდნენ ცხოვრებას, კომუნისტურ იდეალებს, მშრომელთა სატკივარს, ბევრმა საკუთარი კეთილდღეობისათვის ზრუნვა გაიხადა ცხოვრების კრედოდ. აივსო მოთმინების ფიალა. ხალხმა ენა ამოიდგა, აზვირთდა. დღეს ძნელია ისევ და ისევ დაპირებებით შევაჩეროთ ეს ტალღა. ადგილებზე მოიშალა შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინა, კონტროლი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

პარტიულმა ორგანიზაციებმა დათმეს თავიანთი უფლებები, თვითდინებაზე მიუშვეს საქმე. ამით სარგებლობდნენ სამეურნეო ხელმძღვანელები და ისწრაფოდნენ მხოლოდ და მხოლოდ პირადი გამორჩენისა და გამდიდრებისათვის. ლოგიკურმა შედეგმაც არ დააყოვნა.

ერთი მაგალითი: დავიხოთ რამდენიმე წლით უკან. 1972-77 წლებში ვმუშაობდი წიფერჩის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. ეკონომიკის ამაღლების ძირითად დარგად მაშინ მშაღლეობა-მევენახეობას ვთვლიდით. იმ დროისათვის კოლმეურნეობას გააჩნდა ჩამოყალიბების პირველ წლებში გაშენებული რამდენიმე ჰექტარი ამორტიზებული ბაღი. კოლმეურნეობის გამგეობამ მტკიცედ გადაწყვიტა დაგვერაზმა მთელი ძალები მრავალწლიანი ნარგავების—ბაღებისა და ვენახების გასაშენებლად. მიზანსაც მივაღწიეთ (5 წლის განმავლობაში) გავაშენეთ 13 ჰექტარი ვაშლის ბაღი და 4 ჰექტარი ვენახი, რომელიც დღესაც სრულ მსხმოიარობაშია და სათანადოდაა დაცული. მერე თანდათან მოვეშვით, აღარც ჩვენი მონდომება იყო და აღარც მომკითხველობა. 12 წლის განმავლობაში 20 ჰექტარი ბაღი მაინც რომ გაშენებულიყო, ჩვენი ეკონომიკა ასეთ მდგომარეობაში აღარ აღმოჩნდებოდა. 31 ჰექტარ მსხმოიარე ვენახს, რომელიც მაშინ გააჩნდა კოლმეურნეობას, 10 ჰექტარი ჩამოშორდა ამორტიზებული თუ მოუვლელობით განადგურებული.

კოლმეურნეობის მშრომელები ძირითადად გადავიდნენ სიმინდის წარმოებაზე, ხელი აიღეს მრავალწლიანი ნარგავების გაშენება-მოვლაზე. ამან კი თავის მხრივ გამოიწვია ეროზიული და მეწყრული მოვლენების დაჩქარება, გაუარესდა ეკოლოგიური და ეკონომიკური მდგომარეობა. ყოველივე ეს ხდება უკონტროლობითა და უგერგილო ხელმძღვანელობით.

ახლა თავში ვირტყამთ ხელს: დაქცევის პირას მისულ სოფელს რითი ვუშველოთ? გლეხური მეურნეობის განვითარებითო, ვამბობთ. კეთილი და პატიოსანი, მერედა რაღას ველოდებით. ამასობაში ხალხმა დაგლიჯა ერთმანეთი: ზოგი მამა-პაპურ მიწას ეპატრონება, ზოგი—ვისაც აქვს ამის საშუალება, ჰექტრებს იკავებს. აღარ არის კანონი და ნორმა, ვის როგორ მოესურვება, ისე იქცევა. ასე ყველას თავის ნებაზე მიშვება არ მიმაჩნია კანონზომიერ მოვლენად. ალბათ მკითხავთ: მერედა თქვენ რას აკეთებთ ადგილზე პარტიული ხელმძღვანელობა. ჩვენ უნდა გვქონდეს ხელთ კანონიერი პრინციპი მიწის განაწილებისა. ამ ლითაც ვიმოქმედებდ.

რაც შეეხება კომუნისტური პარტიის დღევანდელ მდგომარეობას, ისევ ვიმეორებ, რომ დაცა მისი როლი და ავტორიტეტი. შევიდა ცვლილებები კონსტიტუციის მე-6 და მე-7 მუხლებში. გაჩნდა მრავალპარტიულობა. პარტიამ დაკარგა წარმმართველის, მაორგანიზებელის, ლიდერის ფუნქცია. ჩემის აზრით, თუკი კომუნისტურ პარტიას აქვს სურვილი აღიდგინოს თავისი ავტორიტეტი, მან საქმით უნდა დაამტკიცოს ხალხისადმი ერთგულება, რა თქმა უნდა, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და კავშირებთან დიალოგით.

საქმე და მხოლოდ საქმე, სიმართლის აღიარება, ამ აზრისაა კომუნისტების აბსოლუტური უმრავლესობა. ჰეგემონობა ხალხმა უნდა მიანიჭოს ნებისმიერ პარტიას და არა პარტიამ თავის თავს. ასეთია ცხოვრების რეალობა.

გ. ᲜᲔᲛᲡᲬᲕᲔᲠᲘᲫᲔ,
წიფერჩის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი.

ᲕᲔᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲘ ᲬᲔᲠᲘᲡ „ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲕᲯᲝᲕᲝ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ“

ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲚᲔᲩᲮᲣᲛᲨᲘ“ ᲐᲛᲐᲡᲬᲘᲜᲐᲗ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲛ ᲬᲔᲠᲘᲚᲨᲘ, ᲩᲔᲛᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲐ ᲒᲐᲛᲝᲮᲐᲢᲣᲚᲘ, ᲘᲒᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲕᲔᲢᲧᲕᲐ—ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲘ ᲛᲝᲣᲙᲕᲓᲐ ᲐᲛᲓᲔᲜ ᲥᲐᲠᲐᲒᲛᲔᲑᲡ, ᲓᲠᲝᲐ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲕᲗᲥ-

ქარაგმების

დრო

დამთავრდა

ᲕᲐᲗ ᲡᲐᲗᲥᲛᲔᲚᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲛᲘᲙᲘᲑᲣᲚ-ᲛᲝᲙᲘᲑᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ.

ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲨᲔᲕᲔᲓᲘ ᲡᲙᲙᲞ ᲠᲘ�გᲔᲑᲨᲘ, ᲝᲠᲯᲔᲠ ᲓᲐᲯᲠᲘᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲐᲑᲡᲝᲚᲣᲢᲣᲠᲐᲓ ᲐᲠ ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑᲓᲘ ᲙᲐᲠᲘᲔᲠᲐᲖᲔ, ᲣᲤᲠᲝ ᲡᲬᲝᲠᲐᲓ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲝᲓᲘ ᲘᲒᲘ. ᲨᲔᲕᲔᲓᲘ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ, ᲠᲝᲛ ᲛᲬᲐᲛᲓᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ, ᲛᲬᲐᲛᲓᲐ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ, ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ, ᲛᲬᲐᲛᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ, ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ, ᲡᲘᲡᲮᲚᲮᲠᲘᲪᲔᲣᲚᲐᲓ ᲘᲧᲝ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲩᲔᲛᲨᲘ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ. „ᲩᲕᲔᲜ, ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘ, ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲕᲐᲠᲗ, ᲩᲕᲔᲜ ᲒᲐᲛᲠᲯᲕᲔᲗᲘᲚᲘ ᲕᲐᲠᲗ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ. ᲩᲕᲔᲜ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲕᲐᲠᲗ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲨᲔᲕᲐᲓᲒᲔᲜᲗ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲘᲣᲚᲘ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲘᲡ ᲐᲠᲛᲘᲐᲡ. ᲐᲠᲘᲡ ᲠᲐ ᲘᲛᲐᲖᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ, ᲐᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲐ ᲘᲛᲐᲖᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲐᲛ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲐ, ᲘᲛ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲗᲐᲜᲐᲓᲝᲓᲐᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘ. ᲛᲔᲠᲔ ᲗᲐᲜᲓᲐᲗᲐᲜ ᲛᲝᲕᲔᲛᲨᲕᲘᲗ, ᲐᲦᲐᲠᲪ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲜᲓᲝᲛᲔᲑᲐ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲐᲦᲐᲠᲪ ᲛᲝᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲝᲑᲐ. 12 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ 20 ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲘ ᲑᲐᲦᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲨᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘᲧᲝ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ ᲐᲡᲔᲗ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲔᲑᲝᲓᲐ. 31 ᲰᲔᲥᲢᲐᲠ ᲛᲡᲮᲛᲝᲘᲐᲠᲔ ᲕᲔᲜᲐᲮᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲒᲐᲐᲩᲜᲓᲐ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲡ, 10 ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲘ ᲩᲐᲛᲝᲨᲝᲠᲓᲐ ᲐᲛᲝᲠᲢᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲣ ᲛᲝᲣᲕᲔᲚᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ. ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲘ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲓᲜᲔᲜ ᲡᲘᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲚᲣᲖᲘᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲣᲬᲛᲘᲜᲓᲣᲠᲝᲑᲘᲗ ᲡᲐᲕᲡᲔ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ, ᲠᲐᲛᲐᲪ ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲮᲓᲐ ᲣᲐᲠᲘ ᲛᲔᲝᲥᲕᲐ ᲡᲙᲙᲞ-ᲨᲘ ᲧᲝᲤᲜᲐᲖᲔ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲘ ᲒᲖᲐ ᲨᲔᲛᲝᲛᲒᲕᲗᲐᲕᲐᲖᲔᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ -ᲒᲐᲜᲛᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲭᲙᲕᲘᲐᲜᲛᲐ ᲚᲘᲓᲔᲠᲔᲑᲛᲐ, ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲐ, ᲡᲙᲙᲞ-ᲓᲐᲜ ᲓᲐᲣᲧᲝᲕᲜᲔᲑᲚᲘᲕᲘ ᲒᲐᲡᲕᲚᲐ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲔᲡ. 9 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ ᲔᲡ ᲗᲮᲝᲕᲜᲐ ᲨᲔᲕᲐᲡᲠᲣᲚᲔ, ᲡᲙᲙᲞ-ᲨᲘ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲔᲑᲡ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲣᲑᲔᲓᲝ, ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐᲡ ᲮᲔᲚᲡ ᲣᲨᲚᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲓᲐᲠᲓᲔᲑᲗᲝ, ᲡᲐᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲝᲓ ᲒᲐᲒᲛᲘᲯᲔᲑᲔᲜ, ᲐᲠᲐᲓᲐ, ᲡᲣᲚᲔᲠᲗᲘᲐ, ᲠᲐ ᲠᲐᲜᲒᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲐ ᲘᲒᲘ, ᲔᲢᲧᲝᲑᲐ, ᲓᲘᲓ ᲠᲐᲛᲔᲓ ᲧᲣᲠᲘᲡ ᲛᲣᲜᲓᲘᲠᲘᲡ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲡᲯᲔᲠᲐ, ᲠᲐᲛ „ᲝᲭᲠᲝᲡ ᲯᲐᲯᲕᲘ ᲡᲯᲝᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ“. ᲐᲮᲚᲐ, ᲠᲐ ᲛᲢᲙᲘᲪᲜᲔᲣᲚᲘᲪ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲔᲡ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲐ, ᲛᲐᲘᲜᲪ! ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲣᲨᲚᲘᲐᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲨᲘ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲐᲡ. ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡᲐᲪ ᲗᲐᲜᲐᲑᲐᲠᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲘᲡᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲝᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ. ᲔᲠᲗᲘᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ, ᲨᲘᲨᲘ ᲓᲐ „ᲨᲔᲒᲜᲔᲑᲣᲚᲘ“ ᲒᲐᲣᲒᲔᲑᲠᲝᲑᲐ-ᲓᲐᲑᲜᲔᲣᲚᲝᲑᲐ ᲡᲯᲐᲑᲜᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐᲓᲛᲘ ᲤᲐᲠᲣᲚᲘ ᲡᲘᲣᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲠᲓᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲢᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ.

ᲛᲝᲬᲧᲝᲚᲔᲑᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲔᲛᲝᲪᲘᲣᲠᲘ ᲖᲔᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲗ ᲩᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲘᲖᲛᲘᲡᲐ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲛᲬᲐᲛᲡ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲚᲝᲖᲣᲜᲒᲔᲑᲐᲓ ᲜᲣᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲛᲝᲒᲠᲩᲕᲔᲜᲔᲑᲐᲗ ᲐᲜ ᲓᲘᲓᲐᲥᲢᲘᲙᲣᲠᲘ-ᲛᲝᲠᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲥᲐᲓᲐᲒᲔᲑᲐᲓ. ᲔᲡ ᲩᲔᲛᲘ ᲣᲑᲠᲐᲚᲝ ᲐᲖᲠᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲮᲔᲓᲣᲚᲔᲑᲐᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ, ᲝᲠᲝᲜᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲤᲘᲥᲠᲘᲗ ᲨᲔᲖᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲘᲛ ᲛᲐᲨᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲗᲐ ᲤᲘᲥᲠᲗᲐᲜ ᲭᲕᲐᲠᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ „ᲫᲘᲚᲨᲘᲐᲪ ᲐᲠ ᲡᲫᲘᲜᲐᲕᲗ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲘᲗ ᲒᲣᲚᲐᲦᲢᲙᲘᲜᲔᲑᲣᲚᲗ“.

ᲚᲔᲚᲐ ᲚᲝᲛᲛᲗᲐᲫᲔ.
განათლების განყოფილების ინსპექტორი.

ᲞᲐᲠᲢᲘᲐ — ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐᲨᲘ

ᲐᲮᲚᲐᲜᲓᲔᲚ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲔᲑᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲔᲜᲘᲭᲔᲑᲐ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲠᲐᲚᲣᲠ-ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲙᲯᲘᲡ ᲨᲔᲛᲔᲓᲒᲝᲛᲘ ᲑᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲛᲘᲖᲜᲐᲜᲨᲔᲬᲝᲜᲘᲚᲐᲓ ᲛᲘᲛᲐᲩᲜᲘᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲞᲐᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲛᲐ ᲗᲣ ᲣᲞᲐᲠᲢᲘᲝᲛ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲘᲤᲘᲥᲠᲝᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲔᲗᲝᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲮᲔᲓᲣᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ. ᲗᲣ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ, ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲮᲓᲐ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ ᲓᲐ ᲐᲥᲔᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲪ ᲙᲐᲠᲒᲐᲕᲡ ᲛᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐᲡ, ᲓᲐ, ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲕᲗᲝᲕᲔᲑ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ, ᲮᲝᲚᲝ ᲗᲣ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲐᲜᲘ ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲢᲠᲐᲕᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲠ�გᲕᲘᲡ, ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲓᲐᲪᲔᲛᲘᲡ შᲔᲛᲓᲔᲒ ᲙᲕᲚᲐᲕᲘᲜᲓᲔᲑᲣᲠᲐᲓ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲛᲝᲕᲘᲥᲪᲔᲕᲘ ᲘᲡᲘ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲕᲗᲥᲛᲘᲡ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲐ ᲛᲘᲙᲐᲠᲜᲐᲮᲔᲑᲡ.

Ռ. ᲑᲐᲫᲠᲐᲫᲔ,
ᲥᲕᲔᲓᲐ ᲪᲐᲒᲔᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ.

ᲠᲝᲢᲪᲐ ᲣᲠᲗᲘᲗ

ᲐᲮᲚᲐᲜᲓᲔᲚ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲔᲑᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲔᲜᲘᲭᲔᲑᲐ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲠᲐᲚᲣᲠ-ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲙᲯᲘᲡ ᲨᲔᲛᲔᲓᲒᲝᲛᲘ ᲑᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲛᲘᲖᲜᲐᲜᲨᲔᲬᲝᲜᲘᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲙᲚᲘᲠᲘᲡᲐᲛᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ, ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲮᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲠᲗᲘ ᲠᲘᲪᲮᲕᲨᲘ ᲐᲚᲛᲝᲩᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲨᲘ ᲐᲮᲚᲐ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘᲐ ᲣᲐᲦᲠᲔᲡᲐᲓ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ, ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ, ᲠᲐᲪ ᲓᲠᲝ ᲒᲐᲓᲘᲡ, ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲫᲘᲛᲔᲓᲔᲑᲐ, ᲓᲐ ᲛᲫᲘᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲘᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲠᲝᲛ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲙᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲔᲪᲐᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲒᲐᲩᲔᲜᲚᲘ ᲒᲐᲔᲛᲝᲚᲘᲐᲜᲔᲑᲘᲐ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲬᲘᲜᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲒᲐᲣᲗᲐᲕᲔᲑᲔᲚᲘ ᲩᲮᲠᲔᲙᲘᲗ ᲣᲡᲐᲨᲕᲔᲚᲝ ᲒᲐᲖᲘᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲠᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲣᲐᲠᲘᲡ ᲐᲗᲐᲡᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲛᲐᲠᲪᲕᲚᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲠᲝᲛ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲒᲐᲜᲛᲐ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲝᲓᲘᲗ. ᲕᲘᲪᲝᲓᲘᲗ, ᲠᲝ�გᲝᲠ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲝᲓᲘᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲗᲥᲛᲘᲡ ᲒᲕᲔᲨᲘᲜᲝᲓᲐ. ᲨᲘᲨᲛᲐ, ᲢᲧᲣᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲝᲖᲣᲜᲒᲔᲑᲖᲔ ᲐᲒᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐᲛ ᲠᲐ ᲒᲕᲘᲧᲝ, ᲐᲮᲚᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲕᲮᲔᲓᲐᲕᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲒᲕᲘᲐᲜᲐ, ᲣᲠᲔᲛᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲒᲐᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ.

ᲣᲠᲔᲛᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲓᲛᲝᲑᲠᲣᲜᲓᲔᲡ, ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲛ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲑᲠᲣᲜᲝᲡ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲦᲠᲛᲐ ᲠᲬᲛᲔᲜᲘᲗ ᲓᲐᲘᲑᲠᲣᲜᲔᲑᲡ ᲙᲘᲓᲔᲙᲘ, ᲗᲣ ᲙᲐᲜᲝᲜᲐᲓ ᲐᲙᲪᲔᲕᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲝᲑᲐᲡ, ᲗᲣ ᲡᲮᲒ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲛᲘᲡ ᲒᲕᲔᲠᲗᲘᲗ ᲘᲦᲕᲐᲬᲔᲑᲔᲜ, ᲐᲯᲝᲑᲔᲑᲡ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲗᲥᲛᲘᲗ, ᲗᲣ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲐᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲚᲐᲓ ᲓᲐᲣᲓᲔᲑᲡ ᲘᲛᲘᲡ ᲠᲘᲗ ᲓᲐᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲝᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲯᲐᲜᲡᲐᲦᲘ ᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერფრონტი—სრულიად საქართველოს წინააღმდეგ

1990 წლის 11 მარტს ლიტვის სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ დამოუკიდებელი ლიტვის რესპუბლიკის გამოცხადებამ აღაფრთოვანა ყველა ჭეშმარიტი დემოკრატი. ზეიმობდა მამაცი ლიტველი ხალხი და ერთი-მეორეზე დეშაგოგიურ, პროვოკაციულ, ღვარძლიან განცხადებებს აკეთებდა პროგრამა „ვრემია". მაგრამ, სამწუხაროდ, ეს განცხადებები მთლად უსაფუძვლო როდი იყო. ლიტვაში მთელი ძალით ამოქმედდა ინტერფრონტი, ლიტვის სხვადასხვა ქალაქებში ეწყობოდა მიტინგები, რომელთა ორგანიზატორები იყვნენ საზოგადოება „ერთობა" და სკკპ პლატფორმაზე დარჩენილი ლიტვის კომპარტია. და მათ ცილისმწამებლურ ჩანს, ჩვენს მტრებს ამან ჭკუა ვერ ასწავლა. ისინი ყინიანად ცდილობენ როგორმე გააერთიანონ არაქართველები საქართველოს წინააღმდეგ, ეწევიან რა სპეკულაციას ხალხის ინტერნაციონალურ გრძნობებზე (ამას შეიძლება მიეწეროს ინტერფრონტის დამფუძნებელი თავყრილობის მოწვევა 9 მაისს), მაგრამ ვინ არიან ეს უხილავი მტრები, რომელთა ნამოქმედარი საკმაოდ ხილულ კვალს ტოვებს ჩვენი ერის ცხოვრებაში?

თუ კარგად დავაკვირდებით იმ ბინძური პროკლამაციების ტექსტს, რომელიც ამ ბოლო ხანებში გავრცელდა თბილისში, მივხვდებით, რომ საქართველოში

საქართველოს სსრ

მონაჩმახს ლიტვაში არალიტველთა უფლებების ვითომდა შელახვისა და დისკრიმინაციის შესახებ ახლაც იყენებს მოსკოვი თავისი ნოტების და ულტიმატუმების საფუძვლად. ადრე ცოტა სხვანაირად იყო. მაგალითად, 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინააღმდეგ რაიმე განსაკუთრებული წარმონაქმნი არ შექმნილა. მაშინ ინტერფრონტის მოვალეობა ბოლშევიკებმა და, საერთოდ სოციალ-დემოკრატებმა შეასრულეს. ეს იყო ძალა, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრეებს ბრალს დებდა დემოკრატიისა და ინტერნაციონალიზმის ღალატში.

უკვე მომხდარ ამ მოვლენათა ფონზე არცერთი ქართველისათვის საეჭვო არ უნდა იყოს, თუ რა მიზანი აქვს საქართველოში ინტერფრონტის შექმნას, ეს არის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ მეორე ფრონტის გახსნის მცდელობა მას შემდეგ, რაც ფუჯი აღმოჩნდა ეთნოკრიზისში საქართველოს ჩითრევის ცდა. ჯერ კიდევ შარშან ეროვნულმა მოძრაობამ წარმატებით მოახერხა ინტერფრონტის პირველადი წარმონაქმნების ლიკვიდაცია თბილისში და ზოგიერთ არაქართულ რაიონში. როგორც ჩანს, ჩვენს მტრებს ამან ჭკუა ვერ ასწავლა. ისინი ყინიანად ცდილობენ როგორმე გააერთიანონ არაქართველები საქართველოს წინააღმდეგ, ეწევიან რა სპეკულაციას ხალხის ინტერნაციონალურ გრძნობებზე (ამას შეიძლება მიეწეროს ინტერფრონტის დამფუძნებელი თავყრილობის მოწვევა 9 მაისს), მაგრამ ვინ არიან ეს უხილავი მტრები, რომელთა ნამოქმედარი საკმაოდ ხილულ კვალს ტოვებს ჩვენი ერის ცხოვრებაში?

თუ კარგად დავაკვირდებით იმ ბინძური პროკლამაციების ტექსტს, რომელიც ამ ბოლო ხანებში გავრცელდა თბილისში, მივხვდებით, რომ საქართველოში მცხოვრები არაქართველები არაფერ შუაში არიან. ბრალდებები, რომელთაც პროკლამაციის ავტორები უყენებენ ქართველებს და სრულიად საქართველოს, რომ იტყვიან, თითქოდანაა გამოწვილი და მათ რეალური საფუძველი არ აქვს. ვერც ერთი სომეხი, თათარი, ქურთი, ოსი, ბერძენი, რუსი თუ უკრაინელი, საქართველოში მცხოვრები მრავალი სხვა ეროვნების წარმომადგენელი ამგვარ რამეს წინასწარ ბოროტი განზრახვის გარეშე ვერ დაწერდა, რადგან საქართველოში არასოდეს არ ჰქონია ადგილი ქართველთა მიერ სხვა ეროვნების წარმომადგენელთა ჩაგვრას. პირიქით კი იყო. ქართველობა ყოველთვის მტკიცედ იცავდა სტუმართმოყვარეობის ტრადიციას, თვლიდა რა სტუმარს ღვთითმოვლენილ კაცად. ერთ მრავლისმეტყველ ფაქტს მოგახსენებთ: ახლა ბევრი ამბობს, რომ საოცრად გაიზარდა დანაშაულობათა და, მათ შორის, მკვლელობათა რიცხვი. ქართველი ქართველს კლავს და ამით თვით საქართველოს უყრის დანას გულში. დიახ, საკუთარ ძმას არ ვინდობთ. და ამ დროს სტატისტიკა ვერ დაგისახელებთ შემთხვევას, რომ ქართველს რომელიმე სხვა ეროვნების წარმომადგენელი მოეკლას. ქართველის ხელით არ მომკვდარა არცერთი რუსი, თათარი, სომეხი... სამაგიეროდ, უხვად იღვრება ქართული სისხლი. განა ეს ფაქტი არ მეტყველებს ქართველთა საოცარ ზნეზე—მოყვრად იგულვოს სტუმრად მოსული მტერიც კი? და ამის შემდეგ ზოგიერთები ისევ „ჩივიან" ქართველთა შოვინისტობაზე. ღმერთი აღარაა?

დიახ, თუ კარგად ჩავუკვირდებით, მივხვდებით, ვინ შეთითხნა ეს პროკლამაციები. ამაზე მიუთითებს ბოლმა, რომელიც ქართველობაზეა გადმონთხეული და თარიღი, 9 მაისი, რომლის დანიშვნითაც ავტორებმა უნებლიეთ გასცეს საკუთარი თავი. ამგვარი რამ შეიძლება დაეწერა მხოლოდ საბჭოთა არმიის შოვინისტ ოფიცერს, რომელმაც კარგად იცის ქართველი ხალხის მართლაცდა არცთუ აღტაცებული დამოკიდებულება საოკუპაციო ჯარისადმი. აი, ერთადერთი სუბიექტი, ვის მიმართ არაკეთილგანწყობას არ ფარავს ქართველობა. ამიტომ ცდილობს არმია რევანში აიღოს იმ მარცხისათვის, რაც მან 9 აპრილის მასობრივი მკვლელობით განიცადა საქართველოში. ოღონდ ღმერთმა დაგვიფაროს გულუბრყვილობისაგან. ამ აქციის მიზანი მხოლოდ შურისძიება არ გახლავთ, და არც მხოლოდ არმიის ოფიცრობაა მისი ორგანიზატორი. იგი უფრო შორსაა გამიზნული—თუკი საქართველოს ეროვნულ -განმათავისუფლებელი მოძრაობა თავს დააღწევს უბადღებული „მესამე ძალის" მიერ დაგეგმილ ყველა პროვოკაციას, საქართველოშიც ამოქმედდეს მრავალნაცადი ინტერფრონტი—ე. ი. იმპერიული მიზნით ყველა ჯურის შოვინისტის, სამშობლოს გამყიდველის, დაქირავებული აგენტების, საქართველოს მტრების და, შესაძლოა, მოტყუებული არაქართველების ერთობა. ესეც ერთ-ერთი იმ ხანგრძლივი მოქმედების ბომბთაგანია, რომლებიც ასე უხვად ჩადო ბოლშევიკურმა რეჟიმმა ოკუპირებულ საქართველოში. ამის დაშვება არ შეიძლება. გაზრდილი საფრთხე გვავალებს სიფხიზლეს—ინტერფრონტი საქართველოში არ უნდა შეიქმნას.

ია ხმელიძე.

გადაბრუნდა

48 წელია, რომ ვარ პარტიის წევრი. ჩემს თვალწინ ჩაიარა პირველმა ხუთწლედებმა, რომლის შესრულება უდიდეს შრომაზე იყო დამყარებული, სიამოვნებით ვიგონებ ჩემს მოკრძალებულ წვლილს ყველა ხუთწლედის შესრულებაში. ამასთან ვერც იმას დავფარავ, რომ ბევრი უსიამოვნება განმიცდია ბილო ხუთწლიანი გეგმების ქალაქდან შესრულებით.

სანგრძლივი დრო, რომელიც ძველი გზით გავლილ, მიძნელებს ახალ რელსებზე გადასვლას, მაგრამ ამ ძნელის მიუხედავად, [illegible] სხვა პარტიის პლატფორმაზე, თუ კომუნისტებს პარტია ძალების დაუზოგავად არ იბრძოლებს თავისი ავტორიტეტის დასაბრუნებლად. ბოლოს და ბოლოს როდემდე უნდა გაგრძელდეს ასეთი უდისციპლინობა და განუკითხაობა, როგორიც დღესაა. ვინც დემოკრატიას ვერ ანსხვავებს ანარქიისაგან, მას უნდა მოეკითხოს, ვინც კანონს არ ემორჩილება, მას კანონმა უნდა მოჰკითხოს და ა. შ. პირდაპირ ვიტყვი, დისციპლინის და საქმისადმი შეგნებული ღამოკიდებულების გარეშე შორს ვერ წავალთ.

სამსონ კოპალიანი.

საქართველოს სსრ რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი.

წინსვლა საქმეში ვლინდება

ცაგერის ავტოსატრანსპორტო საწარმოს ხელმძღვანელები, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები, თითოეული მუშაკი ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს საწარმოს გეგმა-ვალდებულებათა შესრულებაში, ამისათვის ეძებენ რეზერვებს, საშუალებებს, ნერგავენ მუშაობის ახალ ფორმებსა და მეთოდებს და გარკვეულ შედეგებსაც აღწევენ, იგრძნობა წინსვლა.

საწარმო 1988 წლის პირველი იანვრიდან გადასულია სრულ სამეურნეო ანგარიშზე, ესე იგი დაინერგა თვითდაფინანსება და თვითანგარიში. 1989 წლის 1 აგვისტოდან დაინერგა იჯარა, უკვე 11 ტაქსი იჯარული წესით მუშაობს. დღიდან სამეურნეო ანგარიშზე გადასვლისა მინიმუმამდე იქნა დაყვანილი დებიტორული და კრედიტორული დავალიანება. თუ 1988 წლის პირველი იანვრისათვის დებიტორული დავალიანება შეადგენდა 85.200 მანეთს, კრედიტორული დავალიანება კი—72 ათას მანეთს, 1990 წლის 1 იანვრისათვის შესაბამისად დებიტორული დავალიანება შემცირდა 6 ათას მანეთამდე, ხოლო კრედიტორული დავალიანება—2300 მანეთამდე. ნაცვლად დაგეგმილი 60 ათასი მანეთისა 1989 წელში მიიღეს 60.200 მანეთის მოგება.

საწარმომ ტვირთზიდვის გასული წლის გეგმა შეასრულა 103,2 პროცენტით, შემოსავლები სამგზავრო ტრანსპორტიდან 103,4 პროცენტით, ხოლო მოსახლეობის ფასიანი მომსახურების გეგმა 104 პროცენტით შეასრულეს. 1990 წლის პირველი იანვრისათვის როგორც ბანკის, ასევე მომწოდებლის დავალიანება არცერთი მანეთი არ ჰქონდათ, ხოლო ბანკში საწარმოს ანგარიშზე ირიცხებოდა 33 ათას 800 მანეთი.

მიმდინარე წელს გეგმები გაზრდილია ყველა სახეობაში 10 პროცენტით, მაგრამ სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლამ, თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების წესით მუშაობამ, იჯარული ფორმის დანერგვამ, კიდევ უფრო გაზარდა მუშაკთა დაინტერესება გეგმების აუცილებელი შესრულებით, რადგან ყოველთვიურად იცემა პრემიები, საგრძნობლად გაიზარდა მუშაკთა თვიური შემოსავალი, გადაჭარბებით იქნა შესრულებული მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმები.

საწარმომ ტვირთზიდვის მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა შეასრულა 103,4 პროცენტით, სამგზავრო ტრანსპორტიდან (ტაქსები-ავტობუსები)—104,6 პროცენტით. საერთო ფულადი შემოსავლების კვარტალის გეგმა შეასრულეს 126,9 პროცენტით. ნაცვლად დაგეგმილი 14 ათასი მანეთისა ფაქტიურად მიიღეს 40,5 ათასი მანეთის მოგება. მოსახლეობის ფასიანი მომსახურების გეგმა შეასრულეს 103,7 პროცენტით.

სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლამ გამოკვეთა ის, რომ ვინც გეგმებს ასრულებს, მისი ანაზღაურება როგორც ხელფასის სახით, ასევე პრემიებით, დიდია და, ბუნებრივია, დაინტერესებაც შესაბამისია. თვითმცლელი ავტომანქანის მძღოლმა რომან მეშველიანმა პირველი კვარტალის გეგმა 148 პროცენტით შეასრულა. ხელფასი დაერიცხა 1009 მანეთი, პრემია—487 მანეთი, ესე იგი 3 თვეში მიიღო 1493 მანეთი, ყოველი თვის გამომუშავებამ შეადგინა 499 მანეთი. ავტობუსის მძღოლ ბუდუ ომანაძეს, რომელმაც კვარტალის გეგმა 176 პროცენტით შეასრულა, ხელფასისა და პრემიის სახით დაერიცხა სამ თვეში 1014 მანეთი. თვითმცლელი ავტომანქანის მძღოლმა თამაზ გუგავამ კვარტალში ხელფასისა და პრემიის სახით მიიღო 953 მანეთი. ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება.

საწარმოს ადმინისტრაციამ, პროფკომიტეტმა მიაღწია, რომ მანქანის რემონტზე მომუშავე ყველა მუშა უზრუნველყვეს სპეცტანსაცმლით, შეუფერხებლად მუშაობს საშხაპე, რითაც კმაყოფილი არიან მუშები. კარგად მუშაობდა მუშათა სასადილო, მაგრამ ბოლო ერთი თვეა იგი დაკეტილია, მომსახურე პერსონალის სხვა რაიონში საცხოვრებლად გადასვლის გამო. საზკვების გაერთიანებამ დღემდე ვერ გამონახა საჭირო მუშაკები, ამის გამო საწარმოს ბევრი მუშა უკმაყოფილოა.

საწარმოში გადასაჭრელი პრობლემები კიდევ ბევრია. არ არის მიღწეული, რომ წარმოებადაწესებულებები წინასწარ რიცხავდნენ მომსახურების თანხებს, ზოგი მათგანი არამც თუ წინასწარ, არამედ მომსახურების შემდეგაც აგვიანებს თანხების ჩარიცხვას. კეთილმოწყობას საჭიროებს საქმიანი ეზო. ჯერ კიდევ დაბალია მომსახურების კულტურა.

საწარმოს ადმინისტრაციის, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების გადაწყვეტილებაა შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებით, ორგანიზაციებისა და მგზავრთა ტრანსპორტით მომსახურების გაუმჯობესებით, მომსახურების კულტურის ამაღლებით უზრუნველყონ ყოველი ტვის გეგმა-ვალდებულებების გადაჭარბებით შესრულება და კარგი მაჩვენებლებით შეხვდნენ საქართველოს კომპარტიისა და სკკპ 28-ე ყრილობებს.

ვლ. დავითულიანი.

მარის ასსრ. სოფელ პეკშიკ-სოლში, საბჭოთა მეურნეობა „პრიგოროდნის" ცენტრში მოქმედებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამმუშავებელი კომპლექსი. პურისა და ძეხვეულის საამქროები ყოველდღიურად ამარაგებენ საბჭოთა მეურნეობის მაღაზიებს, სასადილოსა და საბავშვო ბაღს თავისი პროდუქციით.

სურათზე: არომატული ბარისხიანი პური შზადაა მომხმარებლისათვის გასაგზავნად.

საკდესის ფოტოქრონიკა.

ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა !

27 აპრილს, პარასკევს, 18 საათზე ქ. ცაგერში კინოთეატრ „სპარტაკში“ გაიმართება ლეჩხუმის რეგიონალური სახალხო ფრონტის კონფერენცია. ფრონტის ყველა წევრის დასწრება სავალდებულოა.

ლეჩხუმის რეგიონალური სახალხო ფრონტის გამგეობა.

სტარტს იღებს „მის. სსრკ-90“

ალბათ, შეიძლება უკვე დაბეჯითებით ითქვას, რომ სილამაზის კონკურსები ეგზოტიკური მოკაზმულობიდან ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაშიც გადმოაქვთ. საერთაშორისო ცენტრი „ვენეცი“ მოსამზადებელ სამუშაოებს ეწევა მეორე სილამაზის საკავშირო კონკურსის ჩასატარებლად.

ისევე, როგორც შარშან, მასში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მოკავშირე რესპუბლიკების სილამაზის დედოფლებს, რეგიონალური კონკურსების გამარჯვებულებს. ფინალში გამარჯვებულებს ელოდებათ კრუიზი თბომავალ „მაქსიმ გორკიზე“ ევროპის გარშემო.

განაცხადები კონკურსში „მის სსრკ-90“ მონაწილეობის მისაღებად მიიღება მისამართით: 103055, მოსკოვი, ტიხვინსკის შესახვევი 10-12 კ. 9.

მეორე სრულიად საკავშირო ფინალი გაიმართება მიმდინარე წლის მაისის მე-3 დეკადაში. ასე, რომ ვინც ესწრაფვის მოიპოვოს დედოფლის გვირგვინი, უნდა იჩქაროს.

შარშანდელი „მის სსრკ-89“ კონკურსის გამარჯვებულები აღმოჩენა გახდა სხვადასხვა ქვეყნის პრესტიჟული საერთაშორისო კონკურსებისათვის. „სუპერმოდელმა“ ეხა ურპსალუმ ამერიკის შეერთებულ შტატებში სუპერმოდელთა საერთაშორისო კონკურსზე მერვე ადგილი დაიკავა, ოლგა სტარუშკო იმყოფებოდა იტალიაში კონკურსზე — „ახალი მოდელი დღეს“, ხოლო ანა გორგუნოვა — ინგლისში კონკურსზე „მის მსოფლიო“.

დ. კოპიდოვი.

საკდესის კორ.

რაჟდენ მურცხვალაძე

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პარტიისა და შრომის ვეტერანი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი რაჟდენ გაბრიელის ძე მურცხვალაძე.

რ. გ. მურცხვალაძე დაიბადა 1904 წელს ლეჩხუმის მაზრის სოფელ ჩხუტელში. ცაგერის ოთხკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ლეჩხუმის მაზრის რევკომის კანცელარიაში. 1927 წელს შეევიდა სკკპ რიგებში. ამავე წელს გაგზავნილ იქნა მილიციის უფროსთა ერთწლიან სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ლეჩხუმის მაზრის მექვენისა და ჩოლურის (ქვემო სვანეთი) რაიონში მილიციის უფროსის თანამდებობაზე. 1937 წელს ასპირანტურა გაუქრძელა მილიციის უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობის მოსამზადებელ ორწლიან სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა მილიციის ორგანოებში. 1928 წელს მაზრების გაერთიანების შემდეგ, დაინიშნა რაჭა-ლეჩხუმის მილიციის უფროსად. 1932 წელს დაამთავრა 26 კომისრის სახელობის ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი და მუშაობა დაიწყო ლაგოდეხის რაიონში სამანქანო-სატრაქტორო სადგურის პარტიული კომიტეტის მდივნად.

საქართველოს კპ ცაგერის რაიკომის მოთხოვნით, 1933 წელს ცაგერის რაიონში გადმოიყვანეს, სადაც მუშაობდა ჯერ რაიონის პროფსაბჭოს თავმჯდომარედ, ხოლო შემდეგ საქართველოს კპ ცაგერის რაიკომის პარტიული კაბინეტის გამგედ.

რ. გ. მურცხვალაძე 1936 წელს ჩარიცხეს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ასპირანტურაში. სწავლის დროს იყო პარტიული კომიტეტის მდივანი. 1937 წელს ასპირანტურა გაუქმდა, ხოლო რ. მურცხვალაძე დაამტკიცეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის კულტურისა და განათლების განყოფილების ინსტრუქტორად. 1938 წელს აირჩიეს საქართველოს კპ ამბროლაურის რაიკომის პირველ მდივნად. 1940 წელს დაამტკიცეს პარტიის ცაგერის რაიკომის პირველ მდივნად, სადაც მუშაობდა 1948 წლამდე. ცაგერიდან სამუშაოდ გადაიყვანეს საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში, სადაც მუშაობდა პასუხისმგებელ ორგანიზატორად, ხოლო შემდეგ საგეგმო, საფინანსო და სავაჭრო განყოფილების გამგის მოადგილედ—1952 წლის თებერვლიდან 1957 წლის ბოლომდე მუშაობდა საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროში განყოფილების გამგედ.

1957 წლის იანვრიდან 1966 წლის მაისამდე მუშაობდა საქართველოს ყრუმუნჯთა საზოგადოების ცენტრალური გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ. 1966 წლიდან რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერია.

პარტიამ და მთავრობამ დააფასეს მისი შრომა და ღვაწლი, რისთვისაც ორჯერ იყო არჩეული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის“, შრომის წითელი დროშის ორდენებითა და მრავალი სხვა ჯილდოებით.

რ. გ. მურცხვალაძე, სადაც კი უმუშავია, რა პოსტზედაც არ ყოფილა, ყველგან ავლენდა მებრძოლი კომუნისტის თვისებას, იყო უანგარო და სპეტაკი მუშაკი.

წავიდა ჩვენგან ვალმოხდილი და შესანიშნავი ადამიანი, მისი ხსოვნა დიდხანს დარჩება ყველას გულში, ვინც მას იცნობდა.

ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭო.

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი

ნ. ნ ე ი ს ა ძ ე.

ჭილოცავთ

ახლადდაქორწინებულებს!

სოფო ვლადიმერის ასულ გოგიძეს
ბადრი აკაკის ძე ჭოხონელიძეს

გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ სიხარულს, სიყვარულს, შვილთმრავლობას.

ამირან მახარობლიძე, გივი, ანზორ მეგრელები ოჯახებით.

სოფო ვლადიმერის ასულ გოგიძეს
ბადრი აკაკის ძე ჭოხონელიძეს

გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ მარადიული სიყვარულის ძალა მფარველობდეს თქვენს ახლადშექმნილ ოჯახს, მრავალი შვილი აღგეზარდოთ ერის და და მამულის სასახელოდ.

ცაგერის აგროსამრეწველო გაერთიანების თანამშრომლები.

ჭილოცავთ

იზოლდა უჩას ასულ ლიპარტელიანს
ნუგზარ ჭიჭიკოს ძე ტვილდიანს

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერისათვის სასახელო ვაჟკაცი. შემატებოდეს მრავალი და-ძმა.

რაისაბჭოს აღმასკომის აპარატისა და სტატისტიკის თანამშრომლები.

იზოლდა უჩას ასულ ლიპარტელიანს
ნუგზარ ჭიჭიკოს ძე ტვილდიანს

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ვაჟკაცი და ერისშვილი.

მაყვალა მეშველიანი, ვენერა გოლეთიანი.

მეუღლე მაშურა ნემსწვერიძე, შვილები ია, ლია, ნუკრი, და ვენერა, ძმა გიორგი, რძალი ლალი ბრეგაძე, სიძეები მამია გუმბერიძე, გივი კოპალაძე, ცოლისდა ნათელა, შვილიშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

პავლე ნესტორის ძე
დავითულიანი.

დაკრძალვა 28 აპრილს, შაბათს სოფ. უსახელოში.

შვილები იური, თაილი, მურთაზი, რძლები დარეჯან გასვიანი, ეუჟენა ლარცულიანი, დები ნინა, მარიამი, შვილიშვილები სერგო, მარინე, დათო, მაკა, სიძე მამუდი არჯევანიძე, ცოლისძმა მიხეილ ჩარკვიანი, დისშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დავით სანდროს ძე
ლარცულიანი.

დაკრძალვა 29 აპრილს, კვირას სოფ. ლარჩვალში.

მეზობლები დათო საღინაძე, დათო გოქაძე, იური ჩხეტიანი, კარლო ჩაკვეტაძე, მურად ლიპარტელიანი, რუბენ კოპალიანი, გალაქტიონ მანდარია, დავით ყურაშვილი, ოლია კვირკაშვილი, თინა გვიშიანი, ვლადიმერ თოდიძე, ვახტანგ დარახველიძე, მათიკო გუგავა თანაუგრძნობენ ქენია, ვალოდია, ანზორ ხეცურიანებს ბიძის

რაჟდენ მურცხვალაძის

გარდაცვალების გამო.

უსახელოს არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე სკოლის მათემატიკის მასწავლებელი

პავლე ნესტორის ძე
დავითულიანი

ჯიბო, ეორა ლარცულიანები, როინ ჩაკვეტაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დავით სანდროს ძე ლარცულიანი.

შვილები ეთერი, იზო, დალი, დარეჯანი, მურადი, კლარა, მალხაზი, რძლები ლენურ ირემაძე, მარინე ასათიანი, სიძეები დავით ცხვედიანი, ჯაბუ ლეშკაშელი, ეორა სვანიძე, რომან ირემაძე, შვილიშვილები ქეთინო, ალიოშა, ზაზა, ირმა, სულხანი, ქეთინო, ელგუჯა, ელზა, უსუპი, თამაზი, ნათია, მაგული, ინგა, ვენერა, ელდარი, ფატიმა, გიორგი, თამარი, მუხრანი, მადონა, მაია, ძმა ბუჭუ, და ლოლა, შვილთაშვილის შვილები ნათია, მაია, მადონა, მაზლი გიორგი, მული ფედოსი სილაგაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თამარ ბიქტორის ასული
მახარობლიძე-გოლეთიანი

დაკრძალვა 28 აპრილს, შაბათს, სოფ. ლჯანაში.

შვილები რობერტი, იური, რძლები გუგული, მზია, ელისო, შვილიშვილები რობინზონი, მელიტონ, ბესიკი, მაკა, ბაჩუკი, და მარო გიორგობიანი, ძმისშვილები, დისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ბაბილო ექვთიმეს ასული
ქობულაძე-ასათიანი.

დაკრძალვა 1 მაისს, სამშაბათს სოფ. ტვიშში.

რაიარქივის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ქენია ხეცურიანს ბიძის

რაჟდენ მურცხვალაძის

გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-34, განყოფილებების: სოფლის მეურნეობის—22-36, მშრომელთა წერილების—22-41, საკორექტოროს—22-42, სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23,

გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა 26 ინდექსი 66539, ტირაჟი 4660

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ჭუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.